ადგილობრივი
თვითმმართველობის
ინდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი

საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება (2023)

www.lsgindex.org

ნოემბერი, 2023

2023 წლის შედეგები



1	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	75%
2	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	66%
3	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	63%
4	მესტიის მუნიციპალიტეტი	56%
5	ონის მუნიციპალიტეტი	55%

60	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	15%
61	კასპის მუნიციპალიტეტი	13%
62	ადიგენის მუნიციპალიტეტი	12%
63	თიანეთის მუნიციპალიტეტი	9%
64	ასპინძის მუნიციპალიტეტი	6%

გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ინდექსი (LSG ინდექსი)



გაუმჯობესების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები

+38 %	+37%	+36%	+35%	+32%
მესტიის მუნიციპალიტეტი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	მარტვილის მუნიციპალიტეტი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	ონის მუნიციპალიტეტი

34% საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

- **61%** ზოგადი ინფორმაცია
- **40%** სამართლებრივი აქტები და სასამართლო გადაწყვეტილებები
- **49%** ბიუჯეტი
- **40%** სხდომის ოქმები
- **39%** საჯარო ინფორმაცია
- **28%** შესყიდვები
- **27%** სერვისები
- **26%** ქონება
- **22%** საკადრო უზრუნველყოფა
- **17%** იურიდიული პირები
- **13%** ადმინისტრაციული ხარჯები

38% ელექტრონული მმართველობა

- **70%** მუნიციპალიტეტი სოციალურ ქსელებში
- **53%** ვებგვერდის ტექნიკური მახასიათებლები
- **16%** ინფორმაცია მონაწილეობის ფორმების შესახებ
- **26%** ელექტრონული მონაწილეობა

მონაწილეობის ხელშეწყობა და ანგარიშვალდებულება

19%





მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობისა და ანგარიშვალდებულების საშუალო მაჩვენებელი 2019 წლიდან 2023 წლამდე **გაუარესდა 10%-ით.**

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი 2017 წლიდან 2023 წლამდე კერიოდში **შემცირდა 24%-ით.**

საკრებულოს სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიმართულებით მუნიციპალიტეტების აქტივობა 2017 წლიდან 2023 წლამდე კერიოდში **შემცირდა 24%-ით.**

სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტი 2021 - 2023 წლებში ფუნქციონირებდა
16 მუნიციპალიტეტში.

მერის საქმიანობის ანგარიშის მოსმენა გაიმართა მხოლოდ
25 მუნიციპალიტეტში.

საკრებულოს წევრთა საქმიანობის ანგარიშის საჯარო წარდგენა განხორციელდა მხოლოდ
20 მუნიციპალიტეტში.

მოქალაქეებმა საკრებულოს კეტიციით მიმართეს მხოლოდ
19 მუნიციპალიტეტში.

მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები ჩატარდა მხოლოდ
30 მუნიციპალიტეტში.



ადგილობრივი
თვითმმართველობის
ინდექსი

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი: ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის 2023 წლის შეფასება განხორციელდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, პარტნიორ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

2023 წლის ანგარიში იხილეთ ვებგვერდზე: www.lsgindex.org

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS
OF DENMARK

UNDP

ავტორები

გიორგი ტოკლიკიშვილი თეონა ტურაშვილი	გოგა თუშურაშვილი ირაკლი კახიძე	კოკა კილურაძე თამარ ნასყიდაშვილი

© ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი: ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, 2023.
ყველა უფლება დაცულია. ანგარიშის გადაბეჭდვა შესაძლებელია ავტორებთან შეთანხმებით.

2023 ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის შეფასებაში მონაწილეობდნენ:

ჯამბულ ნაჭყებია	სამოქალაქო მოძრაობა „სამეგრელოს ხმა" (VOS)
გიორგი ანდღულაძე	დემოკრატ მესხთა კავშირი (UDM)
ჯაბა ნათენაძე	დემოკრატ მესხთა კავშირი (UDM)
თათია კონიაშვილი	მწვანე კავკასია
მერაბ ცინდელიანი	კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD)
რუსუდან მეტრეველი	მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი (MSDA)
ნათია აფხაზავა	სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI)
მაია ბიძინაშვილი	სათემო ორგანიზაცია ნუკრიანი
ნინო გოგინაშვილი	სათემო ორგანიზაცია ნუკრიანი
ლევან ხინთიბიძე	საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი
ირაკლი პაპავა	საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი
თათია კახაძე	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
ჯონი კვინიკაძე	კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC)
მამუკა ისკანდარაშვილი	კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC)
ავთო თავდიშვილი	
ნინო ხუხუა	
დავით სარალიძე	
თამუნა ახობაძე	
იასე ჯიქია	

01. ინდექსის შესახებ

2016-2017 წლებში, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი **(შემდგომში, ინდექსი).**

ინდექსის მიზანია, საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასების გზით, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა. 2023 წლის შეფასება განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და დანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

ინდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტების შეფასება ხორციელდება ორ წელიწადში ერთხელ. პირველი, მეორე და მესამე ეროვნული შეფასება, შესაბამისად, 2017, 2019 და 2021 წლებში განხორციელდა, ხოლო მეოთხე შეფასება - 2023 წელს, რომლის ძირითადი მიგნებები, ტენდენციები და რეკომენდაციები წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშში.

ინდექსი შედგება 3 ბლოკისა და 17 ქვებლოკისაგან.

ბლოკები და ქვებლოკები ქმნიან ინდექსის კრიტერიუმების სისტემატიზებულ ნუსხას, რომელიც აერთიანებს **შეფასების 107 კრიტერიუმს.**

I ბლოკი	საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება	11 ქვებლოკი 54 კრიტერიუმი
II ბლოკი	ელექტრონული მმართველობა	4 ქვებლოკი 28 კრიტერიუმი
III ბლოკი	მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა და ანგარიშვალდებულება	2 ქვებლოკი 25 კრიტერიუმი

ა) რას აფასებს ინდექსი?

ინდექსი წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალიტეტების შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც განსაზღვრული კრიტერიუმებით აფასებს მუნიციპალიტეტში ღიაობისა და გამჭვირვალობის, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების, ელექტრონული მმართველობის, მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხს.

LSG ინდექსი -

ადგილობრივი თვითმმართველობის გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების ინდექსი დგინდება ყველა შესაბამისი კრიტერიუმის შეფასების საფუძველზე: საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის, მუნიციპალიტეტების ცალკეული ჯგუფების და საკრებულოებისა და მერების/მერიების შეფასების საშუალო შედეგების მიხედვით, აგრეთვე მუნიციპალიტეტის, მისი საკრებულოს, მერის/მერიის შეფასების შედეგის მიხედვით.

2023 წლის მუნიციპალიტეტების შეფასების ანგარიშში შეფასების შედეგები წარმოდგენილია, როგორც სამი ბლოკის მიხედვით, აგრეთვე ორი თემატური მიმართულებით: **გამჭვირვალობა და ღიაობა (TO ინდექსი) და მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება (PA ინდექსი).**

თემატური მიმართულებების შეფასება განხორციელდა სხვადასხვა ბლოკის კრიტერიუმების ერთობლივი გამოყენებით. შეფასებისას სხვადასხვა ბლოკის კრიტერიუმების კომბინირებული გამოყენება შესაძლებლობას იძლევა გამჭვირვალობისა და ღიაობისა,ასევე, მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების თემატური მიმართულებით წარმოდგენილ იქნას მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის შესახებ სრული სურათი.

მაგალითად, მუნიციპალიტეტში მონაწილეობის და ანგარიშვალდებულების (PA ინდექსი) თემატური მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასებაში მონაწილეობს, როგორც მე-3 ბლოკის კრიტერიუმები, აგრეთვე პირველი და მე-2 ბლოკის კრიტერიუმები, რომლებიც გავლენას ახდენენ მუნიციპალიტეტში მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხზე. კერძოდ, პირველი ბლოკიდან შეფასებაში მონაწილეობს კრიტერიუმები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის ანგარიშების პროაქტიულ გამოქვეყნებას უკავშირდება, ხოლო მე-2 ბლოკიდან გამოყენებულია კრიტერიუმები, რომლებიც მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა ელექტრონული მონაწილეობის შესაძლებლობის აფასებს. იგივე ეხება გამჭვირვალობისა და ღიაობის (TO ინდექსი) თემატური მიმართულების შეფასებას, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მე-2 და მე-3 ბლოკის კრიტერიუმები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ მუნიციპალიტეტში გამჭვირვალობისა და ღიაობის ხარისხზე.

ქვემოთ მოცემულია თემატური მიმართულებების ინდექსების დადგენაში მონაწილე კრიტერიუმების ჩამონათვალი.

ღიაობა და გამჭვირვალობა (TO ინდექსი)	**I ბლოკი**	**54 კრიტერიუმი**
	II ბლოკი	**7 კრიტერიუმი** 2.1.1 – 2.1.6; 2.2.1; 2.2.8.
	III ბლოკი	**2 კრიტერიუმი** 3.2.1, 3.2.5

მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება (PA ინდექსი)	**I ბლოკი**	**7 კრიტერიუმი** 1.1.2; 1.2.4; 1.3.3; 1.7.3; 1.7.6; 1.9.6.
	II ბლოკი	**10 კრიტერიუმი** 2.2.2-2.2.5; 2.2.8-2.2.10; 2.3.2-2.3.4.
	III ბლოკი	**25 კრიტერიუმი**

2023 წელს მუნიციპალიტეტების შეფასების შედეგები წარმოდგენილია როგორც თემატური მიმართულებების, ასევე, ბლოკების ჭრილში. 2025 წლის შედეგები კი წარმოდგენილი იქნება 3 თემატური მიმართულების მიხედვით, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ღიაობის ინდექსს (TO ინდექსი); ელექტრონული მმართველობის ინდექსს (EG ინდექსი)[1] და მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების ინდექსს (PA ინდექსი).

[1] ელექტრონული მმართველობის ინდექსის (EG ინდექსის) დადგენაში მონაწილე კრიტერიუმები სრულად ემთხვევა მე-2 ბლოკის კრიტერიუმებს.

ბ) შეფასების პროცესი

ინდექსი განსხვავებულ მეთოდოლოგიას იყენებს სხვადასხვა ბლოკის შეფასებისას. კერძოდ, მუნიციპალიტეტების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების (ბლოკი 1) და ელექტრონული მმართველობის (ბლოკი 2) შეფასება, ძირითადად, მათი ოფიციალური ვებგვერდების მონიტორინგის საფუძველზე ხდება, ხოლო მოქალაქეთა მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების (ბლოკი 3) შეფასება - მუნიციპალიტეტებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზისა და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის ადგილზე დაკვირვების მეთოდით. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის ორგანო არ გასცემს ამა თუ იმ კრიტერიუმის შეფასების მიზნით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას, მოცემულ კრიტერიუმში მას ავტომატურად მინიმალური ქულა ეწერება.

გარდა ამისა, ინფორმაციის მოძიებისა და გადამოწმების მიზნით, გამოიყენება შემდეგი დამატებითი საშუალებები:

- მუნიციპალიტეტის ორგანოსთან სატელეფონო კომუნიკაცია;
- „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებული სამართლებრივი აქტების შესწავლა;
- სხვა ოფიციალური (ონლაინ) წყაროების გამოყენება, რომლებიც კონკრეტული კრიტერიუმის შეფასებისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავს.

ინდექსით ფასდება მუნიციპალიტეტის როგორც აღმასრულებელი, ისე წარმომადგენლობითი ორგანო.

მუნიციპალური ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მეოთხე ეროვნული შეფასება განხორციელდა 2023 წლის 1 მაისიდან 2023 წლის 1 ივლისამდე პერიოდში. შეფასდა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი, გარდა აჟარის, ახალგორის, ერედვის, თიღვისა და ქურთის მუნიციპალიტეტებისა. შემფასებლის სტატუსით პროცესში მონაწილეობა მიიღო 10 საზოგადოებრივი ორგანიზაციის 19-მა წარმომადგენელმა.

შეფასება განხორციელდა ონლაინ პლატფორმის - WWW.LSGINDEX.ORG - გამოყენებით.

პირველადი შეფასების შემდეგ, მუნიციპალიტეტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, პლატფორმაზე რეგისტრაციის გავლით, გაცნობოდნენ საკუთარი შეფასების შედეგებს და გამოეთქვათ შენიშვნები. ყველა დასაბუთებული შენიშვნა გათვალისწინებულ იქნა შეფასების საბოლოო ანგარიშში.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2021 წლის დასაწყისში შეიქმნა თვითმმართვადი ელექტრონული სასწავლო კურსი ინდექსის შეფასების მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების შესახებ, რომელიც წარმატებით გაიარა მუნიციპალიტეტების ასზე მეტმა წარმომადგენელმა.

გ) ინდექსის კრიტერიუმების ცვლილებები

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მეთოდოლოგია 2021 და 2023 წლებში განახლდა. ცვლილებების ძირითად მიზანს წარმოადგენდა ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებთან ინდექსის მეთოდოლოგიისა და კრიტერიუმების ადაპტაცია და ჰარმონიზაცია, აგრეთვე საქართველოში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ არსებული კრიტერიუმების გადახედვა და ახალი კრიტერიუმების შემუშავება. კერძოდ:

2021 წელს დაზუსტდა რამდენიმე კრიტერიუმის ინდიკატორები და დაემატა **სამი ახალი** კრიტერიუმი. ინდექსს დაემატა შემდეგი კრიტერიუმები:

- 1.1.6. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის შესახებ საკონტაქტო ინფორმაცია;

- 3.1.16 მონაწილეობითი ბიუჯეტი (სამოქალაქო ბიუჯეტი);

- 3.1.17 გენდერული თანასწორობის საბჭო.

2023 წელს ინდექსს დაემატა ექვსი ახალი კრიტერიუმი, კერძოდ:

- 1.10.4. ინფორმაცია ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ;

- 2.4.7. ვებგვერდის მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის;[2]

- 3.1.18. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობის მექანიზმები;

- 3.1.19 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მუნიციპალიტეტის ორგანოების მისაწვდომობის მინიმალური სტანდარტი;

- 3.1.20 მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდობის ჩართულობა;[3]

---

[2] შშმ პირებზე ორიენტირებული კრიტერიუმების დამატების მიზანია მუნიციპალიტეტებში შშმ პირების საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის წახალისება, განსაკუთრებით „საცხოვრებელი თემის მაქსიმალურ სიახლოვეში.“ აღნიშნული მიზანი გამომდინარეობს საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით“ და „ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმით“ გათვალისწინებული ვალდებულებებიდან.

[3] კრიტერიუმის დამატების მიზანია მუნიციპალიტეტებში წახალისებულ იქნას ახალგაზრდების საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა. აღნიშნული მიზანი აგრეთვე ეფუძნება „ახალგაზრდების ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2004 წლის N13 რეკომენდაციას და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026“ ამოცანებს.

- 3.2.5. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეფასება 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული სტატისტიკის მიხედვით.

2023 წელს განხორციელებული შეფასებისას 2023 წელს დამატებულ კრიტერიუმებს აქვთ მხოლოდ წამახალისებელი ფუნქცია (გარდა 3.2.5 კრიტერიუმისა). კერძოდ, კრიტერიუმის დაკმაყოფილებისას მუნიციპალიტეტის ქულა იმატებს, თუმცა კრიტერიუმთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში მუნიციპალიტეტს ქულა არ აკლდება. ამ ფორმით მუნიციპალიტეტებს საშუალება მიეცათ გაეცნონ ახალ კრიტერიუმებს და 2025 წლის შეფასებისთვის უზრუნველყონ კრიტერიუმის დაკმაყოფილება.

02. ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცვლილებები 2021-2023 წლებში

მუნიციპალიტეტების შეფასების პროცესის და მისი შედეგების ანალიზისთვის მნიშვნელოვანია ბოლო წლებში საქართველოში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის გარემოსა და განვითარების ტენდენციების მიმოხილვა.

2019 წლის პირველ ნახევარში საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის", „ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მიერ მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე" დამატებითი ოქმის (ე.წ. უტრეხტის პროტოკოლი) რატიფიცირება, რამაც გაამყარა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სამართლებრივი გარანტიები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი ოქმის რატიფიცირებას მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს საკანონმდებლო აქტების გადასინჯვა არ მოჰყოლია.

2019 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025 და სტრატეგიის განხორციელების 2022-2023 წლების გეგმა. ინდექსის შეფასების ამოცანებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტრატეგიის მესამე სტრატეგიული მიზანი - „სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება".

აღნიშნული მიზნის განხორციელების ფარგლებში დადებითად უნდა აღინიშნოს საქართველოს 63 მუნიციპალიტეტში ინფორმაციული ნაკადების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, რომელიც მოიცავს: ელექტრონული სერვისების ონლაინ პორტალს მოქალაქეთათვის (ms.gov.ge), საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემასა (mm.gov.ge) და ინტერაქტიულ რუკას გეოსივრცითი მონაცემების მართვისათვის (maps.gov.ge). თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ელექტრონული სისტემების დანერგვის მიუხედავად, ჯერჯერობით ხელმისაწვდომი არ არის სრულყოფილი მონაცემები მოსახლეობის და მუნიციპალიტეტების მიერ აღნიშნული სისტემების პრაქტიკაში გამოყენების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სტრატეგია მუნიციპალიტეტებში „გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვის" ამოცანის მიღწევის ინდიკატორად 2025 წლისთვის LSG ინდექსის მაჩვენებლის არანაკლებ 55%-მდე გაუმჯობესებას განსაზღვრავს. 2023 წლის შეფასების შედეგად დაფიქსირებული LSG ინდექსის მაჩვენებელი სტრატეგიის მიერ განსაზღვრულ საშუალო მიზნობრივ მაჩვენებელს ჯერჯერობით მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

დადებითად უნდა აღინიშნოს მუნიციპალური სტატისტიკის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში დაფიქსირებული გაუმჯობესებაც. მუნიციპალიტეტების მიხედვით სტატისტიკური მონაცემები უკვე ხელმისაწვდომია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე - https://regions.geostat.ge/regions/. აღნიშნულ ცვლილებამდე

საქართველოში ძირითადად მხოლოდ რეგიონული სტატისტიკური მონაცემები იყო ხელმისაწვდომი.

სტრატეგიის მესამე მიზანი ასევე მოიცავს ღია მმართველობის პარტნიორობის პროგრამის ხელშეწყობას. დღეის მდგომარეობით, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ადგილობრივი პროგრამის (OGP Local) წევრია 6 მუნიციპალიტეტი (თბილისი, ახალციხე, ოზურგეთი, ხონი ქუთაისი, რუსთავი). მათ შორის ქუთაისი და რუსთავი საერთაშორისო კონკურსის საფუძველზე არჩეულ იქნა 2022 წელს. აღნიშნულმა მუნიციპალიტეტებმა უკვე წარადგინეს OGP Local-ის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმაც.

ზოგიერთი პოზიტიური ნაბიჯის და გაუმჯობესების მიუხედავად, გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები. კერძოდ, ფინანსური დეცენტრალიზაციის რეფორმა, მათ შორის ეფექტიანი და სამართლიანი ფინანსური გათანაბრების პოლიტიკის ფორმირება; მუნიციპალიტეტისთვის არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო მიწების გადაცემის პროცესის დასრულება; მოქალაქეთა მონაწილეობის სფეროში არსებული მექანიზმების სრულყოფა და ახალი მექანიზმების განვითარება. უნდა აღინიშნოს, რომ დეცენტრალიზაციის სტრატეგია ფარავს ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების უმრავლესობას, თუმცა რეალური შედეგების მიღწევა ამოცანებისა და დასახული გეგმების სწრაფ და ეფექტურ განხორციელებაზე არის დამოკიდებული.

03. მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შეფასების 2023 წლის ძირითადი მიგნებები

საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების 2023 წლის ეროვნული შეფასების შედეგების მიხედვით, შეფასების 100%-იან სკალაზე მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგი (LSG ინდექსი) 33%-ია, რაც 5%-ით აღემატება 2021 წლის შეფასების მაჩვენებელს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ 2023 წლის მონაცემებით LSG ინდექსის ზრდა ფიქსირდება.

მნიშვნელოვანი - ორნიშნა (10% დან - 38%-მდე) ზრდა დაფიქსირდა 18 მუნიციპალიტეტში, ხოლო არსებითი გაუარესება აღინიშნა (10% დან - 32%-მდე) 6 მუნიციპალიტეტში.

2023 წლის შეფასების შედეგებით, პირველი ბლოკის მაჩვენებელი - საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - 2021 წლის შედეგებთან მიმართებით 7%-ით გაუმჯობესდა (27%-დან 34%-მდე). მაჩვენებლის დაახლოებით მსგავსი ზრდა ფიქსირდება მეორე ბლოკში - ელექტრონული მმართველობა (32%-დან 38%-მდე), ხოლო მესამე ბლოკის - მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა და ანგარიშვალდებულება - მაჩვენებელი პირიქით 4%-ით გაუარესდა და 19% შეადგინა (შემცირდა 23%-დან 19%-მდე).

შეფასების პროცესში ჩართული შემფასებლების მოსაზრებით, აღნიშნულ შედეგებზე ზეგავლენა რამდენიმე ფაქტორმა იქონია:

პირველი, ელექტრონულ რესურსებზე მუნიციპალიტეტების ხელმისაწვდომობისა და მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდების შესაძლებლობების განვითარებით. მათ შორის, მუნიციპალური სერვისების ელექტრონული მართვის პორტალის განვითარებით - https://ms.gov.ge/, რომელიც ყველა მუნიციპალიტეტისთვის არის ხელმისაწვდომი.

მეორე, 2020-2021 წწ. პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვები მნიშვნელოვნად ამცირებდა მოსახლეობასთან კომუნიკაციის შესაძლებლობებს, შესაბამისად, 2023 წელს ზოგიერთი ინდიკატორის მაჩვენებელი დაუბრუნდა პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას. განსაკუთრებით, ეს ეხება მესამე ბლოკის - მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის და ანგარიშვალდებულების კრიტერიუმების შეფასების შედეგებს.

მესამე, შეფასების წლები (2021-2022) არ ემთხვეოდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ორგანიზაციული და საკადრო სტაბილურობა და აგრეთვე, 2021 წლის შეფასების პროცესში მიღებული დადებითი გამოცდილება ზოგიერთმა მუნიციპალიტეტმა კარგად გამოიყენა შედეგების გაუმჯობესებისთვის ან/და შენარჩუნებისთვის.

მეოთხე, წინა წლებში განხორციელებული შეფასებისას მუნიციპალიტეტებში გამოიკვეთა ინდექსის სტანდარტების/მოთხოვნების შესახებ ცოდნის ნაკლებობა. ამ გამოწვევის საპასუხოდ, 2021 წელს შემუშავდა ინდექსის მეთოდოლოგიის შესახებ თვითმმართვადი დისტანციური სასწავლო კურსი (www.tvitmmartveloba.ge). კურსი უფასოა და მასზე ხელი

მიუწვდება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. 2021-2023 წლებში ელექტრონული კურსი გაიარა ასზე მეტმა დაინტერესებულმა პირმა, რაც მუნიციპალიტეტების გაუმჯობესებული მაჩვენებლების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პირობა შეიძლება იყოს.

მეხუთე, მუნიციპალიტეტების დადებით შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიზნით მიმდინარე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების პროგრამებმა, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცალკეულმა ინიციატივებმა და საექსპერტო მხარდაჭერამ. ამ მიმართულებით განსაკუთრებული დადებითი შედეგები და LSG ინდექსის მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა **რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, იმერეთის და სამეგრელო- ზემო სვანეთის რეგიონის** მუნიციპალიტეტებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში საერთაშორისო და სამოქალაქო ორგანიზაციების მიმდინარე პროგრამების დასრულების შემდეგ, ინდექსში მუნიციპალიტეტების შედეგებმა მკვეთრად იკლო, რაც სამწუხარო ტენდენციაა. თუმცა, ზოგიერთმა მუნიციპალიტეტმა შეინარჩუნა მაღალი შეფასებები და კიდევ უფრო განავითარა მიღებული გამოცდილება.

აღსანიშნავია, რომ ოთხივე (2017, 2019, 2021, 2023 წწ.) ეროვნული შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა სტაბილურად მაღალი შედეგის მქონე მუნიციპალიტეტები, კერძოდ: თელავის, ოზურგეთის, ლაგოდეხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტები, რომელთა მაჩვენებელი არცერთი შეფასებისას 39%-ზე დაბლა არ დაცემულა. აღსანიშნავია, რომ შეფასების ყველა წელს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დინამიური ზრდა ფიქსირდება შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ქ. ფოთის, ლაგოდეხის, ამბროლაურის და ონის. აღნიშნული შედეგები მიუთითებს მათ მზაობასა და ინსტიტუციურ დამოკიდებულებას გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების დანერგვის კუთხით.

ამასთან, შეფასების შედეგები მიუთითებს, რომ გეოგრაფიულ (მაღალმთიანობა) და დემოგრაფიულ (ეთნიკური უმცირესობები) ფაქტორებს ზეგავლენა აქვს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხზე. აღნიშნული მახასიათებლების მქონე მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგი ჩამორჩება სხვა მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებელს. თუმცა, 2023 წელს ფიქსირდება მათი შედეგების გაუმჯობესების უკეთესი დინამიკა.

აქვე საინტერესოა, რომ საქართველოს დედაქალაქის - თბილისის მუნიციპალიტეტში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 1/3 ცხოვრობს, 2019 წლიდან LSG ინდექსის მაჩვენებლის დინამიური ვარდნა ფიქსირდება.

შეინიშნება ინდექსის ცნობადობისა და გამოყენების მზარდი ტენდენცია როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორში. მაგალითად, ინდექსი, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანის მიღწევის ინდიკატორი, გამოყენებულია მთავრობის 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგიაში და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიაში. ამასთან, მუნიციპალიტეტების ანგარიშვალდებულებისა და

გამჭვირვალობის ხარისხის შეფასებისას, ინდექსის მაჩვენებლებს ხშირად ეყრდნობიან ადგილობრივი არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები.

ქვემოთ მოცემულია 2023 წლის ინდექსის შეფასების მნიშვნელოვანი შედეგები თემატური ბლოკების, ინდიკატორების, მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.

3.1 საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

ინდექსის 2023 წლის შეფასების შედეგებით:

- მუნიციპალიტეტების საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 34%-ს შეადგენს, რაც 7%-ით აღემატება 2021 წლის შეფასების ანალოგიურ მაჩვენებელს.

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებელი 35-მა მუნიციპალიტეტმა გააუმჯობესა. რეგრესი დაფიქსირდა 24 მუნიციპალიტეტში.

- 16 მუნიციპალიტეტი ჯერ კიდევ ვერ სცდება ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების 20%-იან ზღვარს, 50%-ს კი მხოლოდ 12-მა მუნიციპალიტეტმა გადააჭარბა.

- ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 85% - დაფიქსირდა (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი), რაც 4%-ით აღემატება 2021 წლის შეფასების საუკეთესო მაჩვენებელს (81% - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი). ყველაზე დაბალი შედეგი (0%) კვლავაც ასპინძის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა, რომელსაც წლებია საერთოდ არ აქვს ვებგვერდი.

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ყველაზე მაღალი გაუმჯობესება (55%-ით ზრდა) მარტვილისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში დაფიქსირდა.

- ქვებლოკების მიხედვით, ინდექსის 2021 წლის შედეგებთან შედარებით, ყველაზე მაღალი გაუმჯობესება დაფიქსირდა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის (მატება 14%-ით) და საჯარო შესყიდვების (მატება 11%-ით) შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების კუთხით. მაშინ როცა, მაჩვენებლის გაუარესება დაფიქსირდა მხოლოდ მუნიციპალური სერვისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კომპონენტში (კლება 4%-ით).

- წინა შეფასების მსგავსად, მცირე გაუმჯობესების მიუხედავად, ყველაზე ცუდი პრაქტიკა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯების (13%) და წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ან მმართველობაში მყოფი იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის გამოუქვეყნებლობაა (17%). ადმინისტრაციული ხარჯების ჯამური მონაცემები, როგორც წესი, ხელმისაწვდომია მხოლოდ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში, რაც ვერ პასუხობს ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტს. საგულისხმოა, რომ მუნიციპალიტეტებმა დაიწყეს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში დანართის სახით წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ან მმართველობაში მყოფი იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების გამოქვეყნება, რამაც დადებითად იმოქმედა მათ შედეგებზე.

- მუნიციპალიტეტებს კვლავ ყველაზე მაღალი შედეგები გააჩნიათ მუნიციპალიტეტების შესახებ ზოგადი ინფორმაციის გამოქვეყნების ქვებლოკში: საკონტაქტო ინფორმაცია (71%), მუნიციპალიტეტის სტრატეგიები და მათი სამოქმედო გეგმები (67%), ორგანიზაციული სტრუქტურის და ფუნქციების აღწერა (66%), ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების და საკრებულოს წევრების შესახებ (63%).

- 2021 წლის შეფასების შედეგებთან მიმართებით, მუნიციპალიტეტებმა ყველაზე მეტად გააუმჯობესეს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის პირველადი (15 ნოემბრამდე წარსადგენი) პროექტის, მიმდინარე/გამოცხადებული აუქციონების, შესყიდვების წლიური გეგმისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროაქტიული ხელმისაწვდომობა, ხოლო ყველაზე მეტად გააუარესეს სოციალური და სხვა სერვისების, წლიური ანგარიშების, ადმინისტრაციული ერთეულებისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

- სხვადასხვა მუნიციპალიტეტი განაგრძობს საკუთარ ვებგვერდზე ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნებას, რომელიც პირველი 2017 წლის შეფასების დროს არცერთი მუნიციპალიტეტის ორგანოს ვებგვერდზე იყო წარმოდგენილი. მაგალითად, საჯარო ინფორმაციის გაცემის რეესტრი, რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების წლიური საქმიანობის და ფინანსური ანგარიში, სასამართლო გადაწყვეტილებები და სხვა.

- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, და იმერეთი გახლდათ ის რეგიონები, სადაც მუნიციპალიტეტების პროაქტიული გამოქვეყნების საერთო მაჩვენებელი წინა შედეგებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა - მატება 18 და 15 პროცენტებით, შესაბამისად. მაშინ როცა, ყველზე მაღალი ვარდნა თბილისსა (კლება 6%-ით) და გურიაში (კლება 3%-ით) დაფიქსირდა.

- 13 მუნიციპალიტეტი მოქალაქეებს პროაქტიულად საერთოდ არ აწვდის ინფორმაციას თუნდაც ერთი მუნიციპალური სერვისის შესახებ.

3.2 ელექტრონული მმართველობა

ინდექსის 2023 წლის შეფასების შედეგებით:

- მუნიციპალიტეტების ელექტრონული მმართველობის საშუალო მაჩვენებელი 38%-ია, რაც 6%-ით მაღალია წინა 2021 შეფასების მაჩვენებელზე (32%).
- ელექტრონული მმართველობის მაჩვენებელი 45 მუნიციპალიტეტს აქვს გაუმჯობესება, რეგრესი დაფიქსირდა 18 მუნიციპალიტეტში.
- მუნიციპალიტეტებში ელექტრონული მმართველობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 82% დაფიქსირდა (ქ. ფოთის მუნიციპალიტეტი), რაც 15%-ით აღემატება 2021 წლის შეფასების საუკეთესო მაჩვენებელს (67% - ოზურგეთი). ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო ასპინძის მუნიციპალიტეტმა (10%), რომელსაც არ აქვს ვებგვერდი.
- ელექტრონული მმართველობის ყველაზე მაღალი გაუმჯობესება (29%-იანი ზრდა) აქვს ბოლნისის მუნიციპალიტეტს.
- ქვებლოკების მიხედვით, ინდექსის 2021 წლის შედეგებთან შედარებით, 2023 წელს ვებგვერდის ტექნიკური მახასიათებლები გაუმჯობესებულია 10%-ით, ელექტრონული მონაწილეობა 8%-ით, მუნიციპალიტეტი სოციალურ ქსელში 1%-ით. მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის შეფასების შედეგები ემთხვევა 2021 წლის შედეგს (16%), თუმცა ჩამოუვარდება 2019 წლის შეფასების შედეგს (19%).

„მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო"-ს მიერ შექმნილმა MSDA.GE პლატფორმამ, რომლის ელექტრონული მოდულები წარმოადგენს მუნიციპალური სერვისების განხორციელების უზრუნველყოფის საშუალებას, განაპირობა მუნიციპალური ელექტრონული სერვისების შეფასების ზრდა. მაგალითად, ონლიან ნებართვების აღების შესაძლებლობის მაჩვენებელი გაიზარდა 38%-ით.

- მუნიციპალიტეტებს ყველაზე მაღალი შედეგები გააჩნიათ კვლავ ქვებლოკში 2.3. მუნიციპალიტეტი სოციალურ ქსელებში, სადაც კრიტერიუმის - სოციალურ ქსელებში კომენტარის დატოვების შესაძლებლობა შეფასებისას დაფიქსირდა 98%-იანი შესაბამისობა. კრიტერიუმის მოთხოვნებთან 80%-ზე მაღალი შესაბამისობა აგრეთვე დგინდება სოციალურ ქსელებში (Facebook) მუნიციპალიტეტის აქტიურობის, დომენის შესაბამისობა არსებულ სტანდარტთან და ვებგვერდის ადაპტირება მობილურ პლატფორმებთან კრიტერიუმების შემთხვევაში.
- 2023 წლის შეფასებაში პირველად დაემატა ახალი კრიტერიუმი - 2.4.7. ვებგვერდის მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს ქვეყნის 7 მუნიციპალიტეტი (ქალაქ ფოთის, ოზურგეთის, სენაკის, აბაშის, ქობულეთის, ჩოხატაურის და მარტვილის მუნიციპალიტეტები).

- კრიტერიუმების მიხედვით, წინა შეფასების მსგავსად, ყველაზე ცუდი პრაქტიკა ფიქსირდება მრჩეველთა საბჭოს სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების კუთხით (10%). ასევე პრობლემად რჩება ონლიან გადახდები (11%), მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (12%) და საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირება (livestream) (13%). წინა შეფასებასთან შედარებით გაუარესებულია მდგომარეობა საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

- რეგიონებიდან ელექტრონულ მმართველობის სფეროში ყველაზე მეტი გაუმჯობესება აქვს რაჭა-ლეჩხუმს და ქვემო სვანეთს (18%) და იმერეთს (13%). არსებითი გაუარესება კი არცერთ რეგიონში ფიქსირდება.

- გამოიკვეთა ერთი მუნიციპალიტეტი (ასპინძის მუნიციპალიტეტი), რომელსაც ინდექსის არცერთი შეფასების პერიოდში ვებგვერდი არ ჰქონია. ვებგვერდი არ აქვს და ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად მხოლოდ სოციალურ ქსელებს იყენებს აგრეთვე ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

3.3 მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა და ანგარიშვალდებულება

ინდექსის 2023 წლის შეფასების შედეგებით:

- მუნიციპალიტეტებში მოქალაქეთა მონაწილოების ხელშეწყობის და ანგარიშვალ-დებულების საშუალო მაჩვენებელი 19%-ს შეადგენს, რაც 4%-ით ჩამორჩება 2021 წლის შეფასების ანალოგიურ მაჩვენებელს და 10% პროცენტით 2019 წლის მაჩვენებელს.

- მოქალაქეთა მონაწილოების ხელშეწყობისა და ანგარიშვალდებულების მაჩვენებელი მხოლოდ 18-მა მუნიციპალიტეტმა გააუმჯობესა. რეგრესი დაფიქსირდა 39 მუნიციპალიტეტში, ხოლო 7 მუნიციპალიტეტის მაჩვენებელი არ შეცვლილა.

- მოქალაქეთა მონაწილოების ხელშეწყობისა და ანგარიშვალდებულების შეფასების 20%-იან ზღვარს ვერ სცდება 38 მუნიციპალიტეტი, რაც საქართველოს მუნიციპალიტეტების თითქმის ⅔ -ია. 50%-იანი და უფრო მეტი შედეგი კი მხოლოდ ორ მუნიციპალიტეტში - ქალაქ ბათუმის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში ფიქსირდება.

- მოქალაქეთა მონაწილოების ხელშეწყობისა და ანგარიშვალდებულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 52% დაფიქსირდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში. 2023 წელს დაფიქსირებული საუკეთესო მაჩვენებელი 3%-ით ჩამორჩება 2019 წლის შეფასების საუკეთესო მაჩვენებელს (55% - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი) და 17%-ით 2019 წლის საუკეთესო მაჩვენებელს (79% - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი).

- შეფასების ყველაზე დაბალი შედეგია 4% (თიანეთის მუნიციპალიტეტი), რაც მხოლოდ 1%-ით აღემატება 2021 წლის შეფასების ყველაზე დაბალ მაჩვენებელს - 3% (ბოლნისის მუნიციპალიტეტი).

- ბლოკის შეფასების საშუალო მაჩვენებელში ყველაზე მაღალი გაუმჯობესება (ზრდა 21%-ით) ბოლნისის და გორის მუნიციპალიტეტებში ფიქსირდება, ხოლო ყველაზე დიდი რეგრესი (კლება 23-24%-ით) - შესაბამისად, ყაზბეგის და შუახევის მუნიციპალიტეტებში.

- მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის ქვებლოკში მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებელია 15%, რაც 3%-ით ჩამორჩება 2021 წლის შედეგებს. ანგარიშვალდებულების ქვებლოკში კი მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებელია 31%, რაც 2021 წლის შედეგებთან შედარებით 2%-იან გაუარესებაზე მიუთითებს.

- ბლოკში ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებლები დაფიქსირდა შემდეგი კრიტერიუმების შეფასების შედეგებში: მუნიციპალიტეტის პროექტების შესახებ მოსახლეობის პერიოდული ინფორმირება - 60%; პეტიციების განხილვის პროცედურების დაცვა - 41%; სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა - 40%; საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - 40%; საკრებულოს სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა - 35%.

- 2021 წლის შეფასების შედეგების მსგავსად, 2023 წელსაც კვლავ 0%-იანი მაჩვენებელი ფიქსირდება დასახლების საერთო კრების საქმიანობასთან დაკავშირებული კრიტერიუმების შეფასებისას.

- მნიშვნელოვანი, 10%-ზე მეტი შემცირება დაფიქსირდა შემდეგი კრიტერიუმების შეფასების შედეგებში: პეტიციების განხილვის პროცედურების დაცვა 48%-ით; საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 14%-თ; საკრებულოს სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა 13%-ით; საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართული ღონისძიებები 12%-ით; სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა 11%-ით. გასათვალისწინებელია, რომ ჩამოთვლილი კრიტერიუმების შეფასებისას მნიშვნელოვანი კლება ფიქსირდებოდა 2021 წლის შედეგებშიც და აღნიშნული დინამიკა 2023 წელსაც გაგრძელდა, რაც საგანგებო ყურადღებას მოითხოვს. განსაკუთრებით დამაფიქრებელია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და საკრებულოს სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის კრიტერიუმების მაღალი ვარდნის ტენდენცია.

- აღსანიშნავია, რომ კრიტერიუმების მიხედვით, მნიშვნელოვანი 10%-ზე მეტი გაუმჯობესება ფიქსირდება მხოლოდ ერთი კრიტერიუმის შედეგში - საკრებულოს წევრის საქმიანობის ანგარიშების მოსმენა (ზრდა 14%). მეტნაკლებად მაღალი 7%-იანი ზრდა შეინიშნება მერის საქმიანობის ანგარიშების მოსმენის და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთვის მერის მიერ განსახილველად სავალდებულო საკითხების/დოკუმენტების წარდგენის კრიტერიუმების შეფასების შედეგებში.

- საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში მუნიციპალიტეტების აბსოლუტური უმრავლესობა კვლავ არ ითვალისწინებს მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდამჭერ პროგრამებს, გამონაკლისია მხოლოდ ქალაქ ბათუმისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტები. ხარაგაულის მუნიციპალიტეტს პროგრამის განხორციელების მიზნით დაფუძნებული აქვს „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი".

- 2021 წელს დამატებული კრიტერიუმების - სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტი და გენდერული თანასწორობის საბჭო-შეფასებისას დადებითი შედეგი დაფიქსირდა, შესაბამისად, 16 და 30 მუნიციპალიტეტში. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტის კრიტერიუმის 100%-იანი შესრულების მაჩვენებელი მხოლოდ ბათუმის მუნიციპალიტეტს აქვს, ხოლო გენდერული თანასწორობის საბჭოს შემთხვევაში - მხოლოდ 3 მუნიციპალიტეტს.

- ბლოკში დამატებული ოთხი ახალი კრიტერიუმის მიმართ: მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობის მექანიზმები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მუნიციპალიტეტის ორგანოების მისაწვდომობის მინიმალური სტანდარტი; მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდობის ჩართულობა; საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეფასება 10 დეკემბრის ანგარიშებში ასახული სტატისტიკის მიხედვით - დადებითი შეფასება დაფიქსირდა, შესაბამისად, 34, 50, 22 და 38 მუნიციპალიტეტში.

- შეფასების შედეგების რეგიონულ ჭრილში (10 რეგიონი) ანალიზისას 8 რეგიონში ფიქსირდება მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობისა და ანგარიშვალდებულების კლება, ხოლო 2 რეგიონში - ზრდა. მეტნაკლებად მნიშვნელოვანი 6%-იანი გაუმჯობესება აქვს მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონს. მაჩვენებლების არსებითი 13%-იანი გაუარესება დაფიქსირდა მცხეთა მთიანეთის რეგიონში.

- აღსანიშნავია, რომ საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დაფიქსირებული 21%-იანი ვარდნის შემდეგ 15%-იანი ზრდა ფიქსირდება, თუმცა მაჩვენებელი ვერ დაუბრუნდა 2019 წლის შეფასების შედეგებსაც კი (32%) და კვლავ უკიდურესად დაბალი რჩება (26%).

- საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების მხარდაჭერით მუნიციპალიტეტებში აქტიურად ინერგება მოქალაქეთა მონაწილოების დამატებითი ინსტრუმენტები (მოქალაქეთა ასამბლეა, სამოქალაქო ლაბორატორია და სხვა). თუმცა, ჯერჯერობით ეს ინსტრუმენტები არ წარმოადგენს ნორმატიული აქტებით გამყარებულ მდგრად ინსტიტუციურ მექანიზმებს. მაგალითად, 2021 წელს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერმა დაამტკიცა „წალენჯიხის თავისუფლებათა ქარტია“, რომელიც მოქალაქეთა მონაწილეობის რამდენიმე დამატებით მექანიზმებს განსაზღვრავს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შექმნილია საკრებულოს საზოგადოებრივი დარბაზი, ხოლო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ახალგაზრდული საბჭოების მიერ ინიცირებული პროექტების შერჩევის საბიუჯეტო პროგრამა.

ცალკე გამოვყოფთ იმ მიგნებებს და ტენდენციებს, რაც უშუალოდ აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს უკავშირდება.

3.4 აღმასრულებელი ორგანოები/დაწესებულებები (მერი/მერია)

ინდექსის 2023 წლის შეფასების შედეგებით:

- მუნიციპალიტეტების მერიებიდან მხოლოდ 19-მა გამოაქვეყნა (თუმცა, უმეტეს შემთხვევაში არასრულყოფილად) ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ცალკეული ტიპის ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ. აქედან, სატელეკომუნიკაციო ხარჯები გამოაქვეყნა 16-მა მერიამ, სამივლინებო ხარჯები კი 13-მა მერიამ. შრომის ანაზღაურებისა და საწვავის ხარჯები წარმოდგენილი იყო 12 მერიის შემთხვევაში. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები - 11-მა მერიამ, წარმომადგენლობითი ხარჯები კი მხოლოდ 9 მათგანმა გახადა პროაქტიულად ხელმისაწვდომი.

- ყოველწლიურად მცირედით უმჯობესდება მუნიციპალიტეტების მერიების მიერ იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მაჩვენებელი. ამ კატეგორიაში მუნიციპალიტეტების საშუალო შეფასება 2023 წელს 17%-ია, რაც 2021 წლის შედეგებთან შედარებით, 5%-იანი გაუმჯობესებაა. 2019 წელს მუნიციპალიტეტებმა აღნიშნულ მაჩვენებელში 11% აიღეს, 2017 წელს კი 8%. თუმცა, კვლავაც პრობლემურია იურიდიული პირების წლიური ანგარიშების, განხორციელებული შესყიდვების, აუდიტების და დასაქმებულ პირთა შესახებ ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა.

- მუნიციპალიტეტების მერიების 77%-მა საკუთარ ვებგვერდზე არ გამოაქვეყნა ინფორმაცია მიმდინარე ტენდერების შესახებ. ამ კრიტერიუმში მუნიციპალიტეტების მაჩვენებელი ყოველწლიურად იკლებს: 2017 წლის შეფასებით, მერია/გამგეობების 40% არ აქვეყნებდა მიმდინარე ტენდერების შესახებ ინფორმაციას, 2019 წლის შედეგებით, მათი წილი 66%-მდე გაიზარდა, 2021 წელს კი 72%-მდე.

- მუნიციპალიტეტის მერიების მესამედზე მეტი (23 მერია) კვლავაც არ აქვეყნებს მერის წლიურ ანგარიშებს. გაუმჯობესებულია მუნიციპალიტეტის სტრატეგიული დოკუმენტების ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი - არცერთი სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა მიუწვდომელია მხოლოდ 6 მერიის შემთხვევაში.

- შედარებით გაუმჯობესდა მერიების ვებგვერდზე სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ჩატარებული სხდომების ოქმების ხელმისაწვდომობა (32%-დან 42%-მდე). თუმცა პროცენტული ზრდა იმითაცაა განპირობებული, რომ მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვან ნაწილში მრჩეველთა საბჭო ბოლო ერთი წლის მანძილზე არ შეკრებილა. საერთო ჯამში, ოქმები სრულად ან ნაწილობრივ ხელმისაწვდომი იყო 22 მუნიციპალიტეტში.

- მუნიციპალიტეტებიდან მხოლოდ 30 მუნიციპალიტეტში ტარდებოდა მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები. იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც შექმნილია და იმართება მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომები, უმნიშვნელოდ გაზრდილია საბჭოს

- მიერ მერისთვის ინიციატივების წარდგენის მაჩვენებელი, აგრეთვე ზრდა ფიქსირდება მერის მიერ საბჭოსთვის წარდგენილი საკითხების მაჩვენებელში. მუნიციპალიტეტების 50%-ში ორგანული კანონით გათვალისწინებული აღნიშნული მექანიზმი ან საერთოდ არ არსებობს ან არ ფუნქციონირებს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები განსაკუთრებით აქტიურობით გამოირჩევიან 8 მუნიციპალიტეტში (ქ. რუსთავი, ქ. ბათუმი, ზუგდიდი, ამბროლაური, ხელვაჩაური, გორი, ონი, ხულო)

- 2023 წლის შეფასების შედეგებით მერის ანგარიშის საჯარო მოსმენის გამართვის პრაქტიკის მაჩვენებელი დაუბრუნდა პანდემიამდე არსებულ - 2019 წლის შეფასების შედეგებს. თუმცა, საყურადღებოა, რომ ანგარიშების საჯარო მოსმენა მუნიციპალიტეტების ნახევარზე მეტში (39 მუნიციპალიტეტში) საერთოდ არ იმართება. ამასთან მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში პროცესს ფორმალური ხასიათი აქვს და მოსახლეობის სათანადო წინასწარი ინფორმირება, ამომრჩევლებთან კითხვა–პასუხის ფორმატში კომუნიკაცია, საჯარო მოსმენის დაოქმება პრაქტიკულად არ ხორციელდება.

- 2023 წელსაც დაბალი რჩება მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან მოქალაქეების ინფორმირების ხარისხი მონაწილეობის ფორმებთან დაკავშირებით (12%). წლევანდელი შეფასების მიხედვით, სრულად ინფორმაციას მხოლოდ ქ. ბათუმის, ხელვაჩაურის და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიები აქვეყნებენ ვებგვერდებზე.

3.5 წარმომადგენლობითი ორგანოები - საკრებულო

ინდექსის 2023 წლის შეფასების შედეგებით:

- მუნიციპალიტეტების საკრებულოებიდან მხოლოდ 18-მა გამოაქვეყნა (ისიც არასრულყოფილად) ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ცალკეული ტიპის ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ. აქედან, საწვავისა და მივლინების ხარჯები 16-მა მათგანმა გაასაჯაროვა. შრომის ანაზღაურების ხარჯები ხელმისაწვდომი იყო 14 საკრებულოს შემთხვევაში, სატელეკომუნიკაციო ხარჯები 13, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები - 10 და წარმომადგენლობითი ხარჯები 10 წარმომადგენლობითი ორგანოს შემთხვევაში.

- 21 მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოაქვეყნა ბოლო ერთ წელში ჩატარებული სხდომის ოქმები, რაც 2021 და 2019 წლების შეფასებასთან შედარებით გაუარესებული მაჩვენებელია (წინა წლებში აქვეყნებდა 29 საკრებულო). ამათგან მხოლოდ 13-მა საკრებულომ ონლაინ გახადა ხელმისაწვდომი ყველა ჩატარებული სხდომის ოქმი, დანარჩენის შემთხვევაში კი აკლდა ცალკეული სხდომების დოკუმენტები.

- პრიტიკულად ნეგატიური დინამიკა იკვეთება საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის კრიტერიუმების შეფასებისას. 2019 წლიდან 2023 წლის შეფასებამდე აღნიშნული კრიტერიუმების შეფასების საშუალო მაშვენებელი, შესაბამისად, 59%-დან 35%-მდე და 53%-დან 31%-მდე დაეცა. მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში მხოლოდ მინიმალური, ფორმალური გარანტიებია შექმნილი მოქალაქეთა მონაწილეობისთვის, როგორც საკრებულოს, ისე საკრებულოს კომისიის სხდომებში.

- მუნიციპალიტეტების აბსოლუტურ უმრავლესობაში არ არის შესაძლებელი საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში, ასევე საკრებულოს წევრის ანგარიშის წარდგენის პროცესში დისტანციური მონაწილოება.

- 2023 წლის შეფასების შედეგებით, საკრებულოს წევრების ანგარიშის საჯარო მოსმენის გამართვის პრაქტიკის მაჩვენებელი დაახლოებით დაუბრუნდა პანდემიამდე არსებულ - 2019 წლის შეფასების შედეგებს. თუმცა, საკრებულოს წევრების შემთხვევაშიც საყურადღებოა, რომ ანგარიშების საჯარო მოსმენა მუნიციპალიტეტების დაახლოებით ¾-ში საერთოდ არ იმართება. ამასთან მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში პროცესს ფორმალური ხასიათი აქვს და მოსახლეობის სათანადო წინასწარი ინფორმირება და ამომრჩევლებთან კითხვა–პასუხის ფორმატში კომუნიკაცია პრაქტიკულად არ ხორციელდება.

- 2021-2022 წწ. მოქალაქეებმა საკრებულოს პეტიციით მხოლოდ 19 მუნიციპალიტეტში მიმართეს, საიდანაც 10 მუნიციპალიტეტში პეტიციები პროცედურების დაცვით განიხილეს.

- 2023 წლის შეფასებით, საკრებულოს სხდომების ტრანსლირება ხდება მხოლოდ ქვეყნის 10 მუნიციპალიტეტში.

04. თემატური მიმართულებების შეფასების შედეგები

4.1 გამჭვირვალობის და ღიაობის ინდექსი (TO ინდექსი)

მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობის და ღიაობის ინდექსი (TO ინდექსი) დადგინდა სამივე ბლოკის კრიტერიუმების კომბინირებული გამოყენებით, რომლებიც გავლენას ახდენენ მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ღიაობის ხარისხზე.[4]

2023 წლის შეფასების შედეგებით, საქართველოს მუნიციპალიტეტების TO ინდექსი 33%-ია. გამჭვირვალობის და ღიაობის კრიტერიუმების დაკმაყოფილების ყველაზე მაღალი საშუალო პროცენტული მაჩვენებელი აქვს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს (82%). მაღალი შედეგები აქვთ აგრეთვე ლაგოდეხის (76%), ამბროლაურის (72%), მესტიის (66%) და მარტვილის (65%) მუნიციპალიტეტებს. ყველაზე დაბალი შედეგები კი უფიქსირდებათ ასპინძის (3%), თიანეთის (5%), ადიგენის (8%), კასპის (8%) და ყვარლის (11%) მუნიციპალიტეტებს.

2023 წლის TO ინდექსის შედეგები



[4] დეტ. იხ. ანგარიშის 7-8 გვ.

4.2. მონაწილეობის და ანგარიშვალდებულების ინდექსი (PA ინდექსი)

მუნიციპალიტეტების მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების ინდექსი (PA ინდექსი) დადგინდა სამივე ბლოკის იმ კრიტერიუმების კომბინირებული გამოყენებით, რომლებიც გავლენას ახდენენ მუნიციპალიტეტებში მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხზე.[5]

2023 წლის შეფასების შედეგებით საქართველოს მუნიციპალიტეტების PA ინდექსი 30%-ია. მოქალაქეთა მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით ინდექსის კრიტერიუმების დაკმაყოფილების ყველაზე მაღალი საშუალო პროცენტული მაჩვენებელი აქვს გორის მუნიციპალიტეტს (55%), რომელსაც მცირედით ჩამორჩებიან ქალაქ ფოთის (54%), ზუგდიდის (51%), ამბროლაურისა (51%) და ქალაქ ბათუმის (50%) მუნიციპალიტეტები. ყველაზე დაბალი შედეგები კი უფიქსირდებათ თიანეთის (10%), შუახევის (11%), ყაზბეგის (12%), ადიგენის (13%) და ასპინძის (14%) მუნიციპალიტეტებს.



[5] იქვე.

05. LSG ინდექსის რეიტინგები 2023 წლის შეფასების შედეგების მიხედვით

2023 წელს საქართველოს მუნიციპალიტეტების LSG ინდექსის საშუალო მაჩვენებელი გაუმჯობესდა 5%-ით, თუმცა საშუალო შედეგი კვლავ დაბალი რჩება - 33%.

5.1 რეიტინგი მუნიციპალიტეტების მიხედვით

შეფასების შედეგების მიხედვით, 2023 წლის საუკეთესო მაჩვენებლის მქონე მუნიციპალიტეტად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი გამოვლინდა. 100%-იან შეფასების სკალაზე მისი შედეგი 75%-ს უტოლდება, რაც 5%-ით აღემატება 2021 წლის ამავე მუნიციპალიტეტის მიერ დაფიქსირებულ საუკეთესო შედეგს.

ფოთის მუნიციპალიტეტთან ერთად რეიტინგის საუკეთესო ხუთი შედეგი აქვთ ამბროლაურის (66%), ლაგოდეხის (63%), მესტიის (56%), ონის და მარტვილის (55%) მუნიციპალიტეტებს.



რაც შეეხება 2023 წლის რეიტინგის ყველაზე დაბალი მაჩვენებლების მქონე მუნიციპალიტეტებს, მათ შორის არიან ასპინძის (6%), თიანეთის (9%), ადიგენის (12%), კასპის (13%) და ყაზბეგის (15%) მუნიციპალიტეტები. რეიტინგის 20%-იანი ზღვარი ასევე ვერ გადალახა თორმეტმა მუნიციპალიტეტმა.



2023 წლის შედეგების ყველაზე მკვეთრი ზრდის და გაუარესების მქონე მუნიციპალიტეტები



შედეგების ყველაზე მკვეთრი, 38%-ით ზრდა ფიქსირდება მესტიის მუნიციპალიტეტში. გაუმჯობესების მაჩვენებელი 30%-ზე მაღალია თერჯოლის, მარტვილის, ზესტაფონის და ონის მუნიციპალიტეტებში. მკვეთრი, 10%-ზე მაღალი გაუარესება აქვთ ქალაქ რუსთავის, ოზურგეთის, ყაზბეგის, შუახევის, ტყიბულის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებს.

5.2 LSG ინდექსის რეიტინგი მუნიციპალიტეტის ორგანოების მიხედვით

5.2.1 მუნიციპალიტეტების მერიები

მერიების საშუალო მაჩვენებელი შეფასების 100%-იან სკალაზე 31%-ია, რაც 2021 წლის შეფასების საშუალო მაჩვენებელს 6%-ით აღემატება. აღმასრულებელ ორგანოებს შორის საუკეთესო მაჩვენებელი ქალაქ ფოთის მერიას აქვს - 70%. შემდეგ მოდიან ამბროლაურის (62%), ონის (57%), ლაგოდეხის (56%) და ცაგერის (53%) მერიები. ყველაზე დაბალი შედეგები კი ასპინძის (6%), თიანეთის (10%), ადიგენის (12%), კასპის (14%) და ყვარლის (15%) მერიებს აქვთ.

შედეგების ყველაზე მკვეთრი, 40%-ით ზრდა ფიქსირდება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შემთხვევაში. მაღალი ზრდის მაჩვენებელი აქვთ მარტვილის და ზესტაფონის (37%), აგრეთვე მესტიის, ონის და ბოლნისის (35%) მუნიციპალიტეტების მერიებს. მკვეთრი გაუარესება აქვს ქალაქ რუსთავის მერიას (-24%), გაურესების მაჩვენებელი 10%-ზე მაღალია ოზურგეთის, შუახევის, ზუგდიდის, ტყიბულის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების მერიების შემთხვევაშიც.

2023 წლის საუკეთესო და ყველაზე დაბალი შედეგების მქონე მერიები





5.2.2 მუნიციპალიტეტების საკრებულოები

საკრებულოების შეფასების საშუალო მაჩვენებელი შეფასების 100%-იან სკალაზე 36%-ია, რაც 5%-ით აღემატება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების შეფასების საშუალო მაჩვენებელს. საკრებულოების შეფასების საშუალო მაჩვენებელი 2021 წლის შეფასების შედეგებთან შედარებით გაუმჯობესებულია 5%-ით.

გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, საუკეთესო შედეგი ამ შემთხვევაშიც ქალაქ ფოთის საკრებულომ აჩვენა - 83%, შემდეგ მოდიან ლაგოდეხის (74%), ამბროლაურის (71%), მესტიის (69%) და წალენჯიხის (63%) საკრებულოები. ყველაზე დაბალი შედეგები დაფიქსირდა ასპინძის (6%), თიანეთის (6%), ადიგენი (12%), კასპი (12%) და ქალაქ რუსთავის (12%) საკრებულოების შემთხვევაში.

შედეგების ყველაზე მკვეთრი, 40%-ით ზრდა ფიქსირდება მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემთხვევაში. მაღალი ზრდის მაჩვენებელი აქვთ მარტვილის (35%), ამბროლაურის (34%), თერჯოლის (32%), ზესტაფონის და ქალაქ ქუთაისის (31%) მუნიციპალიტეტების საკრებულოებს. მკვეთრი, გაუარესება აქვს აგრეთვე ქალაქ რუსთავის საკრებულოსაც (-45%), გაურესების მაჩვენებელია 10%-ზე მაღალია ახმეტის, გარდაბნის, ყაზბეგის, აბაშის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შემთხვევაშიც.

2023 წლის საუკეთესო და ყველაზე დაბალი შედეგების მქონე საკრებულოები



2023 წლის შედეგების ყველაზე მკვეთრი ზრდის და გაუარესების მქონე საკრებულოები



5.3 LSG ინდექსი რეგიონების მიხედვით

შეფასების შედეგების წარმოდგენის მიზნებიდან გამომდინარე, რეგიონებად მიიჩნევა სახელმწიფო რწმუნებულების სამოქმედო ტერიტორიები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (სულ 10 რეგიონი).

2023 წლის შეფასების შედეგებით, LSG ინდექსის მაჩვენებლის გაუმჯობესაბა ფიქსირდება ხუთ რეგიონში, გაურესება კი სამ რეგიონში. პროცენტული მაჩვენებელი უცვლელია ორ რეგიონში.

შეფასების შედეგებით, საქართველოს რეგიონების მიხედვით, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი (49%) რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ, რაც თითქმის სამჯერ აღემატება ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე რეგიონის - სამცხე ჯავახეთის მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებელს (17%).

გაუმჯობესების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელიც რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონს აქვს (18%), 15%-ით არის გაუმჯობესებული იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებელი. შედეგების არსებითი გაუარესება არცერთ რეგიონში ფიქსირდება.

2017 წლიდან 2023 წლის ჩათვლით განხორციელებული შეფასების შედეგების მიხედვით, სტაბილურად მზარდი დინამიკა ფიქსირდება მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებლის შემთხვევაში. დინამიურ ვარდნას კი განიცდის მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებელი.



5.4 მუნიციპალიტეტები მაღალმთიანი დასახლებებით

საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიაში მუნიციპალური ორგანოების გამჭვირვალობის ინდექსის მაჩვენებელი საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდის ერთ-ერთი ინდიკატორია. სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, მაღალმთიან მუნიციპალიტეტად შეიძლება ჩაითვალოს მუნიციპალიტეტი, რომელშიც ერთი მაღალმთიანი დასახლება მაინც არსებობს (სულ 43 მუნიციპალიტეტი). 2021 წლის შედეგებით, მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების ჯამური საშუალო მაჩვენებელია 29%, რაც 11%-ით ჩამორჩება დანარჩენი მუნიციპალიტეტების (სულ 21 მუნიციპალიტეტი) საშუალო მაჩვენებელს (40%).

2023 წლისთვის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების და დანარჩენი მუნიციპალიტეტების გაუმჯობესების მაჩვენებელი თანაბარია, თუმცა LSG ინდექსის საშუალო მაჩვენებელი მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში კვლავ ძალიან დაბალია და 100%-იან სკალაზე მხოლოდ 29%-ს შეადგენს.



როგორც აღინიშნა, ზემოთ მითითებული მონაცემი ეფუძნება იმ მუნიციპალიტეტების შედეგებს, სადაც ერთი მაღალმთიანი დასახლებაც კი არსებობს და მოიცავს საქართველოს მუნიციპალიტეტების დაახლოებით ¾-ს. შესაბამისად, ცალკე იქნა დამუშავებული იმ მუნიციპალიტეტების შედეგები, რომელთა თითქმის ყველა დასახლებაც (დასახლებების 90%-ზე მეტი) მაღალმთიანია (სულ 16 მუნიციპალიტეტი). 2023 წლის შეფასების შედეგებით, აღნიშნული მუნიციპალიტეტების ჯამური საშუალო მაჩვენებელია 30%-ია, რაც 4%-ით ნაკლებია დანარჩენი მუნიციპალიტეტების (სულ 48 მუნიციპალიტეტი) საშუალო მაჩვენებელზე (34%).

2023 წლის შეფასების შედეგების მიხედვით, აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში ინდექსის საშუალო მაჩვენებლის ზრდა აღემატება დანარჩენ მუნიციპალიტეტებში ინდექსის საშუალო მაჩვენებლის ზრდას. თუმცა LSG ინდექსის საშუალო მაჩვენებელი კვლავ ძალიან დაბალია და 100%-იან სკალაზე მხოლოდ 30% შეადგენს.



5.5 ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტები

ანგარიშში ცალკე გამოიყო LSG ინდექსის შედეგები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტებისთვის.

ამგვარ მუნიციპალიტეტებად ანგარიშის მიზნებისთვის, ჩაითვალა მუნიციპალიტეტები, რომლის მოსახლეობის 50%-ზე მეტს, 2014 წლის სახელმწიფო აღწერის მონაცემების შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობა წარმოადგენს. ასეთია: ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, ბოლნისი, დმანისი, მარნეული და გარდაბანი. 2021 წლის შედეგებით, აღნიშნული მუნიციპალიტეტების ჯამური საშუალო მაჩვენებელი 28%-ს შეადგენს, რაც 5%-ით ჩამორჩება დანარჩენი მუნიციპალიტეტების (57) საშუალო მაჩვენებელს (33%).

2023 წლის შეფასების შედეგების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ინდექსის საშუალო მაჩვენებლის ზრდა (+7%) აღემატება დანარჩენ მუნიციპალიტეტებში ინდექსის საშუალო მაჩვენებლის ზრდას (+4%). თუმცა, LSG ინდექსის საშუალო მაჩვენებელი კვლავ ძალიან დაბალია და 100%-იან სკალაზე მხოლოდ 28% შეადგენს.



5.6 თვითმმართველი ქალაქები

2023 წლის შედეგებით, თვითმმართველ ქალაქებს შორის საუკეთესო მაჩვენებელი ფოთსა (75%) და ბათუმს (51%) უფიქსირდებათ. მათ არსებითად ჩამორჩებიან დანარჩენი ქალაქები. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის შეფასების შედეგებთან შედარებით, არსებითი 10% გაუმჯობესება აქვს ქალაქ ქუთაისს, ხოლო ქალაქი რუსთავის მაჩვენებელი პრაქტიკულად განახევრდა, შემცირებულია დედაქალაქის მაჩვენებელიც.



06. LSG ინდექსის ძირითადი მონაცემების ანალიზი

საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების (შემდგომში, LSG ინდექსი) 2023 წლის ეროვნული შეფასების შედეგების მიხედვით, შეფასების 100%-იან სკალაზე მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგი 33%-ია, რაც 5%-ით აღემატება 2021 წლის შეფასების მაჩვენებელს. 2017 წლიდან 2023 წლის მონაცემებით LSG ინდექსის 12%-იანი ზრდა ფიქსირდება.



მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგი შეფასების 3 ბლოკის მიხედვით ასე გადანაწილდა: საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება - 34%; ელექტრონული მმართველობა - 38%; მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა და ანგარიშვალდებულება - 19%. წინა, 2021 წლის შეფასების შედეგებთან შედარებით, გაუმჯობესება დაფიქსირდა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებისა (7%-იანი ზრდა) და ელექტრონული მმართველობის (6%-იანი ზრდა) კომპონენტებში, მაშინ როცა წინა წლების მსგავსად, იკლო მონაწილეობის ხელშეწყობისა და ანგარიშვალდებულების მაჩვენებლებმა (კლება 4%-ით).



2021 წლის შეფასების მსგავსად, ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ბლოკში შეფასების შედეგებზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯისა და მუნიციპალური იურიდიული პირების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების დაბალმა მაჩვენებლებმა (შესაბამისად, 13% და 17%). შედარებით უკეთესი სურათია, აღნიშნულ ბლოკში მუნიციპალიტეტის შესახებ ზოგადი ინფორმაციისა (61%) და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების (49%) პროაქტიული გამოქვეყნების კუთხით. გაუმჯობესების ყველაზე დიდი მაჩვენებელი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის (+14), საჯარო ინფორმაციის (+12%) და შესყიდვების (+11%) შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში დაფიქსირდა. ხოლო შედეგები გაუარესდა მხოლოდ მუნიციპალური სერვისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კომპონენტში (-4%).

2017-2023 წლებში მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგები საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მიხედვით



დანარჩენი ორი თემატური ბლოკიდან, ყველაზე მაღალი საშუალო შედეგი დაფიქსირდა ელექტრონული მმართველობის სფეროში - 38%.

2017-2023 წლებში მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგები ელექტრონული მმართველობის მიხედვით



2023 წელს 3-2%-ებით გაუარესდა მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობისა და ანგარიშვალდებულების მაჩვენებლები.

2017-2023 წლებში მუნიციპალიტეტების საშუალო შედეგები მონაწილეობის ხელშეწყობისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით



რეკომენდაციები

2023 წლის შედეგებით, საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ინდექსი 33%-ია, რაც ნიშნავს, რომ წინა, 2021 წლის შეფასების ანალოგიური მაჩვენებელი მცირედით - 5%-ით - გაუმჯობესებულია. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ შეფასების 100%-იან სკალაზე მუნიციპალიტეტების საშუალო 33%-იანი შედეგი, კვლავაც არადამაკმაყოფილებელი და დაბალია.

თითოეული მუნიციპალიტეტისთვის შედეგის გაუმჯობესების ფორმულა უცვლელია, კერძოდ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ თანამდებობის პირების მკაფიო პოლიტიკური ნება და აქტიური მოქმედება მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.

ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები ეფუძნება ექსპერტ-შემფასებელთა გუნდის მოსაზრებებს, მრავალწლიან სამუშაო გამოცდილებას და ცალკეული მუნიციპალიტეტის წარმატებულ პრაქტიკას. რეკომენდაციების გათვალისწინება დაინტერესებულ მუნიციპალიტეტებს დაეხმარებათ ინდექსით განსაზღვრული სტანდარტების დაკმაყოფილებაში, რაც გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის მიღწევის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი პირობაა.

რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი, მათი აქტუალობიდან გამომდინარე, იმეორებს წინა ანგარიშებში მოცემულ რეკომენდაციებს.

ა) საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

- თითოეული მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ორგანომ უზრუნველყოს საკუთარი ან ერთობლივი მუნიციპალიტეტის ვებგვერდის შექმნა და მისი გამართული ფუნქციონირება;
- თითოეულმა მუნიციპალიტეტმა საკუთარ ვებგვერდზე უნდა შექმნას საჯარო ინფორმაციის განყოფილება, სადაც თემატურად და ღია მონაცემების ფორმატში განთავსდება შესაბამისი საჯარო ინფორმაცია.
- მუნიციპალიტეტებმა უნდა განაახლონ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა. მისი შემუშავებისას, სასურველია, გამოიყენონ ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის და, ზოგადად, კარგი მმართველობისა და საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის საუკეთესო პრაქტიკა.
- მუნიციპალიტეტები არ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნებით. სასურველია, ვებგვერდზე განთავსდეს სხვა ნებისმიერი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საჯარო ინფორმაცია. ამასთან, რეკომენდირებულია სავალდებულოდ განისაზღვროს იმ ინფორმაციის

- გამოქვეყნება, რომლის შესახებაც წლის განმავლობაში საჯარო დაწესებულებას მოთხოვნით მიმართა 3 და მეტმა განმცხადებელმა. აღნიშნული პრაქტიკა, ერთი მხრივ, შეამცირებს მუნიციპალიტეტში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შესულ განცხადებებს, ხოლო, მეორე მხრივ, გაზრდის გამჭვირვალობის ხარისხს. ეს მუნიციპალიტეტებს მნიშვნელოვნად დაეხმარებათ დეცენტრალიზაციის ახალი სტრატეგიით გათვალისწინებული მესამე მიზნის - სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება - ამოცანების შესრულებაში.

ბ) ელექტრონული მმართველობა

- მუნიციპალიტეტებში ელექტრონული მართვის საბაზისო შესაძლებლობების გაუმჯობესების მიუხედავად არ არსებობს სრული მონაცემები ელექტრონული სერვისებით მოსახლეობის სარგებლობის ინტენსივობის შესაფასებლად. შეფასების პროცესში გამოვლენილი გარემოებები მიუთითებს, რომ მოსახლეობა პრაქტიკულად ნაკლებად იყენებს მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებულ გაუმჯობესებულ ელექტრონულ შესაძლებლობებს. ამდენად, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების მიერ ეფექტური საინფორმაციო კამპანიის წარმოება და საჭიროების შემთხვევაში, მოსახლეობის ცოდნის და უნარების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად შესაბამისი მუნიციპალური პროგრამების განხორციელება.

- მუნიციპალიტეტის ორგანოებმა ინფორმაციის დროული გავრცელების და მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით, რეკომენდირებულია, ერთ-ერთ მთავარ საშუალებებად ვებგვერდი, სოციალური ქსელები და/ან მობილური აპლიკაციები გამოიყენონ.

- ტექნიკურად მოწესრიგებული ვებგვერდები წარმოადგენს ოფიციალური ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას, რომლის ეფექტური მართვის მიზნით საჭიროა შესაბამისი ფინანსური რესურსების ყოველწლიური მობილიზება და ვებგვერდის რეგულარული განახლება.

- ონლაინ გადახდის სერვისისთვის მუნიციპალიტეტს შეუძლია გამოიყენოს უკვე არსებული ელექტრონული გადახდის სერვისები და აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია/ბანერი გამოაქვეყნოს ვებგვერდზე.

- მუნიციპალიტეტებმა მოქალაქეს უნდა შესთავაზონ ინოვაციური ელექტრონული სერვისები, აგრეთვე უზრუნველყონ უკვე არსებულ ელექტრონულ ბაზებზე (მაგალითად, https://ms.gov.ge/home/dashboard) ხელმისაწვდომი ელექტრონული სერვისების გააქტიურება და საზოგადოების სათანადო ინფორმირება. პრიორიტეტულად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ელექტრონული სერვისები: სივრცითი მოწყობა, არქიტექტურა და ზედამხედველობა, რეკრეაცია, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსის მინიჭება, კეთილმოწყობა და დასუფთავება, ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი, ქონების მართვა და სოციალური სერვისები.

გ) მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა და ანგარიშვალდებულება

- მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და პროცესისადმი ნდობის გაზრდის მიზნით, რეკომენდირებულია, რომ მუნიციპალიტეტებმა განახორციელონ შესაბამისი საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამები, რისთვისაც უნდა უზრუნველყონ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით თანხების გამოყოფა.

- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით, მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით გათვალისწინებულ ფორმების პარალელურად მუნიციპალიტეტებმა უნდა იფიქრონ დამატებითი ფორმების განვითარებაზე და უზრუნველყონ მათი ინსტიტუციური მდგრადობა შესაბამის ნორმატიული აქტებში და საბიუჯეტო პროგრამებში ასახვის გზით. მაგალითად, 2021 წელს წალენჯიხის მუნიციპალიტეტმა დაამტკიცა „წალენჯიხის თავისუფლებათა ქარტია“, რომელიც მოქალაქეთა მონაწილეობის რამდენიმე დამატებით მექანიზმებს განსაზღვრავს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შექმნილია - საკრებულოს საზოგადოებრივი დარბაზი, ხოლო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მოქმედებს ახალგაზრდული საბჭოების ინიცირებული პროექტების შერჩევის საბიუჯეტო პროგრამა.

- ადმინისტრაციული ცენტრიდან დაშორებული დასახლებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებისათვის, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს მოქალაქეთა მონაწილეობის ელექტრონული ფორმების, აგრეთვე საკრებულოს, საკრებულოს კომისიისა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ტრანსლაციისა და მათში დისტანციურად მონაწილეობის (სიტყვით მიმართვა, კითხვების დასმა და პასუხის მიღება) ტექნიკური შესაძლებლობების განვითარება.

- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა საკრებულოს რეგლამენტში გაჩნდეს მეტი გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა სხდომებზე დასწრებისა და აზრის გამოთქმის შესაძლებლობის ეფექტიან განხორციელებას. კერძოდ, აუცილებელია, რომ მოქალაქეებს ხელი მიუწვდებოდეთ დაგეგმილი სხდომების გამართვის დროის, დღის წესრიგის და სხდომაზე განსახილველ საკითხების შესახებ ინფორმაციაზე სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.

- მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას კანონით გათვალისწინებული მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების ეფექტურობის გაზრდა და ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია. კერძოდ, რეკომენდირებულია შემცირდეს ან მუნიციპალიტეტს გადაეცეს დასახლების საერთო კრებების გამართვისთვის კანონით დადგენილი მინიმალური კვორუმის (დასახლების მოსახლეობის 20%) განსაზღვრის უფლება, ხოლო საერთო კრების გამართვის პროცედურის დეტალური რეგლამენტაციის დისკრეცია მუნიციპალიტეტზე

- დელეგირდეს. აღნიშნული მიდგომა შექმნის ადგილობრივ პირობებთან პროცედურის მაქსიმალური ადაპტაციის შესაძლებლობას. ამასთან, მუნიციპალიტეტის მერებმა უნდა გადახედონ მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ფორმირების წესს და მისი დაკომპლექტებისთვის ღია, გამჭვირვალე და კონკურენტული პროცედურები განსაზღვრონ.

- საჭიროა გადაიდგას ნაბიჯები მერის და საკრებულოს წევრების ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით. მუნიციპალიტეტის აღნიშნულმა თანამდებობის პირებმა მოქალაქეებთან შეხვედრები კანონით დადგენილ ვადებში და წესით უნდა გამართონ. შეიძლება გამოყენებული უნდა იყოს ანგარიშების საჯარო მოსმენის დისტანციური მექანიზმებიც. ანგარიშების წარდგენის პროცედურის ინტერაქციულობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ზოგიერთი მუნიციპალიტეტის კარგი პრაქტიკა, რაც ანგარიშების ტექსტის წინასწარ გამოქვეყნებას გულისხმობს.

- მუნიციპალიტეტებმა უნდა გაიზიარონ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში დანერგილი სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტის არსებობის კარგი პრაქტიკა. ამასთან, პროცედურის მეტი განჭვრეტადობის და სამოქალაქო ბიუჯეტის მიმართ მოსახლეობის ნდობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო ბიუჯეტის საკითხები საკრებულოს ნორმატიული აქტით განისაზღვროს, ხოლო სამოქალაქო ბიუჯეტის დაგეგმვისას მოსახლეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აუცილებლად განხორციელებულ იქნას. ამასთან, სამოქალაქო ბიუჯეტის მდგრადობისთვის, მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო ბიუჯეტის თანხა მიბმული იყოს ბიუჯეტის რომელიმე მაჩვენებელზე (მაგალითად, საკუთარი შემოსულობების მოცულობაზე 2-5%).

- მუნიციპალიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ და განავითარონ მექანიზმები ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შშპ პირების აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მიზნით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების ვებ გვერდების და მუნიციპალური შენობების შშმ პირების საჭიროებებთან ადაპტირებულობა, აგრეთვე საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი აქტიური ჩართულობის წახალისების მიზნით სპეციალური საკონსულტაციო მექანიზმების განვითარება.

- რეკომენდირებულია მუნიციპალიტეტებმა შექმნან და განავითარონ სპეციალური საკონსულტაციო მექანიზმები ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის წახალისების უზრუნველსაყოფად. ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ როგორც ახალგაზრდული პოლიტიკის, აგრეთვე სხვა სფეროებში მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამასთან შექმნილი მექანიზმი არ უნდა შემოიფარგლებოდეს ერთჯერადი აქტივობებით და უნდა ხასიათდებოდეს მდგრადობით.

ზოგადი რეკომენდაციები

- დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგის ერთ-ერთ ამოცანად გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის მიღწევა განისაზღვრა, რომლის შესრულების ინდიკატორად 2025 წლისთვის LSG ინდექსის მაჩვენებლის არანაკლებ 55%-მდე გაზრდა წარმოადგენს. 2023 წლის შეფასებით, LSG ინდექსის მაჩვენებელი 33%-ია, რაც დასახული ამოცანის მიღწევისთვის მნიშვნელოვანი ძალისხმევის აუცილებლობაზე მიუთითებს. აღნიშნული მიზნით ცენტრალურმა ხელისუფლებამ საჭიროა გადადგას აქტიური ნაბიჯები და განახორციელოს ღონისძიებები, მათ შორის, საჭიროებებისას საკანონმდებლო ცვლილებები მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის უკეთესი პირობების შესაქმნელად. აღნიშნულ პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნას ინდექსის სტანდარტები, შეფასების შედეგები და რეკომენდაციები, აგრეთვე სხვადასხვა მუნიციპალიტეტების დადებითი გამოცდილება.

- ისევე როგორც წინა წლებში, 2023 წლის შეფასების პრაქტიკა აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტების ნაწილი ინდექსის სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის ნაბიჯების გადადგმას იწყებს შეფასების პროცესის დაწყების წინ ან უშუალოდ შეფასების პროცესში, რაც არ არის საკმარისი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის მისაღწევად. ამდენად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტებმა გაუმჯობესების ღონისძიებები უშუალოდ შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ საკუთარი მუნიციპალიტეტის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით და სხვა მუნიციპალიტეტების დადებითი პრაქტიკების გათვალისწინებით (ხელმისაწვდომია ინდექსის ერთიანი ეროვნული შეფასების ანგარიშებში) დაგეგმონ. აღნიშნული მიდგომა მათ საკმარის დროს მისცემს როგორც ცვლილებებისთვის, აგრეთვე შესაბამისი ადამიანური რესურსების მოსამზადებლად.

- რეკომენდირებულია მუნიციპალიტეტებმა გაუმჯობესების ღონისძიებები დაამტკიცონ გაწერილი გეგმის სახით, რაც ხელს შეუწყობს თანმიმდევრული ცვლილებების გატარებას და შედეგების მდგრადობას. გაუმჯობესების ღონისძიებების გეგმა მიზანშეწონილია შემუშავდეს საკრებულოსა და მერიისთვის ცალ-ცალკე. ამ მიზნით, სასურველია საკრებულოს თავმჯდომარის და მერის გადაწყვეტილებით განისაზღვროს პასუხისმგებელი პირი ან/და შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის გაუმჯობესების 2 წლიან გეგმას (განსახორციელებელი ღონისძიებების, ვადების, რესურსების და პასუხისმგებელი სუბიექტების განსაზღვრის ფორმით). მუნიციპალიტეტის მერმა/საკრებულოს თავმჯდომარემ უშუალოდ ან/და მათ მიერ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის დახმარებით უნდა უზრუნველყონ გეგმის განხორციელებაზე მუდმივი მონიტორინგი და გეგმის შესრულების რეგულარული ანგარიშგება.

დანართი - **2023 წლის შეფასების შედეგები მუნიციპალიტეტების მიხედვით**

N	მუნიციპალიტეტები	საბოლოო შეფასება	მერია	საკრებულო
1	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	75%	70%	83%
2	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	66%	62%	71%
3	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	63%	56%	74%
4	მესტიის მუნიციპალიტეტი	56%	49%	69%
5	ონის მუნიციპალიტეტი	55%	57%	52%
6	მარტვილის მუნიციპალიტეტი	55%	52%	59%
7	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	51%	50%	52%
8	თელავის მუნიციპალიტეტი	50%	43%	63%
9	ცაგერის მუნიციპალიტეტი	49%	54%	41%
10	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	47%	36%	64%
11	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	46%	47%	46%
12	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	46%	44%	50%
13	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	45%	33%	63%
14	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	44%	41%	50%
15	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	43%	49%	33%
16	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	42%	44%	38%
17	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	42%	30%	60%
18	გორის მუნიციპალიტეტი	41%	43%	39%

19	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	41%	42%	38%
20	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	40%	31%	54%
21	ხონის მუნიციპალიტეტი	39%	38%	40%
22	ხაშურის მუნიციპალიტეტი	36%	29%	48%
23	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	36%	34%	39%
24	ვანის მუნიციპალიტეტი	35%	37%	33%
25	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	35%	32%	40%
26	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	35%	31%	42%
27	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	35%	34%	38%
28	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	35%	31%	41%
29	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	34%	47%	12%
30	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	33%	30%	38%
31	სენაკის მუნიციპალიტეტი	31%	26%	39%
32	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	29%	24%	37%
33	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	29%	29%	28%
34	ქედის მუნიციპალიტეტი	29%	27%	32%
35	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	28%	29%	25%
36	აბაშის მუნიციპალიტეტი	28%	27%	28%
37	დმანისის მუნიციპალიტეტი	28%	23%	35%
38	ხობის მუნიციპალიტეტი	28%	22%	36%

39	დუშეთის მუნიციპალიტეტი	26%	24%	31%
40	ახალციხის მუნიციპალიტეტი	26%	25%	28%
41	ხულოს მუნიციპალიტეტი	25%	24%	27%
42	საჩხერის მუნიციპალიტეტი	25%	25%	25%
43	ლენტეხის მუნიციპალიტეტი	25%	26%	24%
44	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	25%	25%	24%
45	წალკის მუნიციპალიტეტი	24%	18%	34%
46	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	24%	26%	21%
47	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	24%	22%	27%
48	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	24%	19%	31%
49	მარნეულის მუნიციპალიტეტი	24%	22%	27%
50	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	22%	27%	15%
51	მცხეთის მუნიციპალიტეტი	22%	25%	17%
52	ახმეტის მუნიციპალიტეტი	20%	17%	26%
53	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	19%	17%	22%
54	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	18%	16%	23%
55	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	18%	17%	20%
56	ქარელის მუნიციპალიტეტი	18%	20%	14%
57	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	18%	19%	16%
58	შუახევის მუნიციპალიტეტი	16%	17%	15%

59	ყვარლის მუნიციპალიტეტი	16%	15%	18%
60	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	15%	16%	14%
61	კასპის მუნიციპალიტეტი	13%	14%	12%
62	ადიგენის მუნიციპალიტეტი	12%	12%	12%
63	თიანეთის მუნიციპალიტეტი	9%	10%	6%
64	ასპინძის მუნიციპალიტეტი	6%	6%	6%